სტაჟირების პროგრამა

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

რას წარმოადგენს MSDA?

სააგენტოს მიზნები:

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვითა და გამოყენებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და თბილისის ტერიტორიული ორგანოების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს:

- თბილისის მოქალაქეთა მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;
- მოქალაქეთათვის მრავალფეროვანი მომსახურებების და ინოვაციური სერვისების შეთავაზება;
- თანამშრომლებისთვის პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- ელექტრონული საქმისწარმოების გამარტივების პროცესის ხელშეწყობა;
- ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა;
- ერთიანი გეოსივრცით მონაცემთა ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითრება;

თბილისის არქიტექტურის სამსახური

- თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა;
- თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით დამტკიცება;
- სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა,არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში, ცვლილებების შეტანა;
- თბილისის მიწათსარგებლობის გეგმის განხორციელების კოორდინაცია, მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება
- მიწათსარგებლობის გეგმის შედგენაში, აგრეთვე, განსაკუთრებული არქიტექტურული და ქალაქმშენებლობითი მნიშვნელობის მქონე, ახლადასაშენებელ და სარეკონსტრუქციო ობიექტების დაპროექტების, ესკიზური, ვარიანტული და საკონკურსო დამუშავების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;
- სამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;
- თბილისის ცალკეული უბნების რეკრეაციული სივრცეების, გამწვანებული ტერიტორიების, გზების, მოედნების, გზაჯვარედინების, ავტოსადგომების და ა.შ. დაგეგმარების ორგანიზება;
- უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სხვა.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

- მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის მდგრად და თანაბარ ურბანულ განვითარებას, ინტეგრირებული, ინკლუზიური და უსაფრთხო საქალაქო გარემოს ფორმირებას;

ძირითადი ამოცანები:

- თბილისის ტერიტორიაზე, აგლომერაციის გათვალისწინებით, მდგრადი ურბანული განვითარების მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და გატარება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოება;
- თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე მიმდინარე ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა;
- ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების სტრატეგიების განსაზღვრა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადება.

სტაჟირების პროგრამა

სტაჟირების პროგრამის სფერო - მოქალაქეთა მომსახურება არქიტექტურისა და ურბანული განვითარების მიმართულებით.

შერჩეული სტაჟიორები გაივლიან გადამზადებას და აქტიურად ჩაერთვებიან მოქალაქეთა მომსახურების ცენტრების მართვისა და დისტანციური მომსახურების სამსახურის სამუშაო პროცესში.

სტაჟირების ხანგრძლივობა - 3 თვე

სტაჟირების წარმატებით გავლის შემდგომ, დადებითი რეკომენდაციის მქონე სტაჟიორებს მიეცემათ ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმების რეალური შესაძლებლობა არქიტექტურული და ურბანული მიმართულებით.

რას გთავაზობთ

პროგრამის ფარგლებში სტაჟიორებს საშუალება ექნებათ:

- ✓ აიმაღლონ ცოდნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის მიმართულებით;
- ✓ სრულფასოვნად დაეუფლონ სამშენებლო და სივრცითი დაგეგმარების სფეროში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.
- ✓ შეიძინონ პროფესიული უნარ-ჩვევები მომსახურების გაწევის მიმართულებით;
- ✓ აიმაღლონ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე სტრესულ სიტუაციაში კონცენტრირებულად და ეფექტურად მუშაობის უნარ-ჩვევები;
- ✓ მიიღონ გამოცდილება სხვადასხვა ტიპის მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით.

მოთხოვნები

- ბაკალავრის ხარისხი ან ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი არქიტექტურის ან/და ურბანისტიკის მიმართულებით;
- გამართული და დახვეწილი მეტყველება;
- ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კარგი უნარი;
- სტრესულ სიტუაციაში კონცენტრირებულად და ეფექტურად მუშაობის უნარი;
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობა;
- მოწესრიგებულობა და აქტიურობა;
- ინფორმაციის ელექტრონული შეყვანისა და სწრაფად ბეჭდვის უნარი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- ინტერესი მუნიციპალიტეტის საქმიანობის და მომსახურების სფეროს მიმართ;

შესარჩევი ეტაპები

- **პირველი ეტაპი** - კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (რეზუმეების) გადარჩევა.
  (თუ რეზიუმე ან სამოტივაციო წერილი არ შეესაბამება მოთხოვნებს კანდიდატი შემდეგ ეტაპზე ვერ გადავა.)

- **მეორე ეტაპი** - პროფესიული ტესტი შემდეგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე:
  - **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #14-39** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ;
  - **საქართველოს მთავრობის დადგენილება #57** - მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ;
  - **საქართველოს მთავრობის დადგენილება #59** - ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე;
  - **საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ.**

- **მესამე ეტაპი** - გასაუბრება კანდიდატებთან, რომლებმაც გადალახეს მე-2 ეტაპი.

(შერჩევის ნებისმიერი ეტაპის შემდეგ ყველა კანდიდატი მიიღებს პასუხს, გადავიდა თუ არა მომდევნო საფეხურზე.)

რეგისტრაცია

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სერვის ცენტრებში სტაჟირების გასავლელად კანდიდატმა უნდა მიმართოს სააგენტოს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე: info@msda.ge და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- რეზიუმე ფოტოსურათით;
- სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 200-250 სიმბოლო).

გისურვებთ წარმატებებს!

გმადლობთ ყურადღებისთვის!